

კვლევის ანგარიშის პრეზენტაცია

„1+4“ პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების შესაძლებლობების კვლევა ზოგადი კონტექსტისა და კონკრეტული მაგალითის ანალიზის საფუძველზე.

28 ივნისი, 15:00 საათი.

სასტუმრო „ბეტსი“ (თბილისი, მაცაშვილის ქ. 32/34)



პრესრელიზი

28 ივნისს, 15:00 საათზე, სასტუმრო „ბეტსის“ საკონფერენციო დარბაზში (თბილისი, კოტე მაცაშვილის ქუჩა 32/34) ა/ო სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათმორისი ურთიერთობების ცენტრი - CCIIR გამართავს კვლევის ანგარიშის პრეზენტაციას: "1+4 პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების შესაძლებლობების კვლევა ზოგადი კონტექსტისა და კონკრეტული მაგალითის ანალიზის საფუძველზე".

კვლევის მიზანია იმ ასპექტების და ფაქტორების შესწავლა, რომლებიც სპეციფიკურად ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ახალგაზრდებისთვის დასაქმების ბაზარზე არსებობს.

კვლევის პრეზენტაციას დაესწრებიან განათლების სამინისტროს უმაღლესი და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის წარმომადგენლები, შერიგებისა და თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე და აპარატის წარმომადგენლები, განათლების და ეთნიკური უმცირესობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები, საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის 1+4 პროგრამის წარმომადგენლები და კურსდამთავრებულები და სხვა მოწვეული სტუმრები.

ეთნიკური უმცირესობის ახალგაზრდების დასაქმების შესახებ კვლევა დაეხმარება საქართველოს განათლების სისტემას გააუმჯობესოს უმაღლესი განათლების პოლიტიკა დასაქმების ბაზართან მიმართებით.

კვლევა მომზადდა „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის“ (PITA) ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ (UNAG), აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით.

საკონტაქტო პირი: ქეთევან ჯაჭვაძე / CCIIR

595 511050 / ketevanjachvadze@gmail.com

www.cciir.ge

<https://www.facebook.com/CCIIR/>

დღის წესრიგი

მისაღმბა:	
15:00 - 15:10	<ul style="list-style-type: none">შალვა ტაბატაძე, სამოქალაქო ინტეგრაციის დაეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის (CCIIR) ხელმძღვანელი.ადამ შმიტი, USAID საქართველოს მისიის დემოკრატიის, მმართველობისა და სოციალური განვითარების ოფისის დირექტორი.
15:10–15:30	კვლევის შედეგების პრეზენტაცია. მომხსენებლები: შალვა ტაბატაძე, ნათია გორგაძე, CCIIR
15:30– 16:00	კითხვა-პასუხი / დისკუსია
16:00	ლანჩი